BAG
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE
Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich

PMCG Research

BAG ინდექსი

ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციისთვის

III კვარტალი
2020

Research

BAG ინდექსი

III კვარტალი, 2020

სარჩევი

BAG ინდექსი 1

BAG ბიზნეს კლიმატი 1

BAG დასაქმების ბარომეტრი 12

შრომითი რესურსების საჭიროების კვლევა 14

BAG ინდექსი

მომზადებულია პიემსი კვლევითი ცენტრის და ifo Institute-ის მიერ

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრი კომპანიების მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის და BAG დასაქმების ბარომეტრის შესახებ. PMC კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრების გამოკითხვის საფუძველზე, კერძოდ, კითხვარის მეშვეობით BAG-ის წევრი კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს. მათ შეუძლიათ აღწერონ თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა როგორც „კარგი", „დამაკმაყოფილებელი" ან „ცუდი", ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი როგორც „უფრო ხელსაყრელი", „უცვლელი" ან „ნაკლებად ხელსაყრელი". შესაბამისად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმ-დინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების[1] ტრანსფორმირებულ საშუალოს. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, BAG-ის წევრი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მრეწველობა, მშენებლობა და მომსახურება.

გარდა მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის შეფასებისა, BAG-ის წევრები, ასევე, აფასებენ გაყიდვების ფასების, გაყიდვების/ბრუნვის/მოთხოვნის და დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას გასულ კვარტალში და მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. ასევე, BAG-ის წევრები ასახელებენ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებს, აფასე-ბენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და სასამართლო სისტემას, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს.

BAG ბიზნესციკლის საათი

BAG ბიზნესციკლის საათი საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თავის მხრივ, საკოორდინატო სიბრტყის მეოთხედები შესაბამისი სახელებით აღინიშნება, კერძოდ, აღმასვლა, ბუმი, დაღმასვლა და რეცესია:

- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„აღმასვლის"** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„ბუმის"** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ დადებითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„დაღმასვლის"** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„რეცესიის"** მეოთხედში.

[1] საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი" და „ცუდი" შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი" და „ნაკლებად ხელსაყრელი" შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.

2020 წლის მესამე კვარტალში, BAG-ის წევრებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა **უარყოფითად**, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი **დადებითად** შეაფასეს. შესაბამისად, 2020 წლის მესამე კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 0.11 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი -19.04, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 21.8 ქულაა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის III კვარტალში, 2020 წლის II კვარტალთან შედარებით, BAG-ის წევრი კომპანიების მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება გაუარესდა, ხოლო მოლოდინი გაუმჯობესდა.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი

2020 წლის III კვარტალში, სექტორებს შორის, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი, მომსახურების სექტორის გარდა, ყველა სექტორისთვის დადებითია. მომსახურების სექტორში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მცირედ უარყოფითია, რაც მიმდინარე მდგომარეობის მკვეთრად უარყოფითმა შეფასებამ განაპირობა. ამასთან, მომსახურების სექტორის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი ოპტიმისტურია. მომსახურების მსგავსად, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებიც არსებულ მდგომარეობას უარყოფითად აფასებენ, ხოლო მოლოდინი პოზიტიური აქვთ, თუმცა მომსახურების სექტორისგან განსხვავებით აქ მოლოდინის ოპტიმიზმი სჭარბობს არსებულ ნეგატიურ მდგომარეობას, შესაბამისად, მათთვის ბიზნეს კლიმატის მაჩვენებლები დადებითია. რაც შეეხება მშენებლობის სექტორს, მესამე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნესის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ნეიტრალურია, ისევე როგორც სექტორში არსებული მოლოდინი.

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2020 წლის III კვარტალში

	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	0.8	-20.8	25.0
მრეწველობის სექტორი	12.1	-20.0	50.0
მშენებლობის სექტორი	0.0	0.0	0.0
მომსახურების სექტორი	-3.8	-25.0	20.0



გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა



გრაფიკი 3: ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი



გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში

მოლოდინი 2020 წლის მეოთხე კვარტლისთვის

- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გამოკითხული BAG-ის წევრების 12.3% მოელის დაქირავებულთა რაოდენობის გაზრდას, მაშინ როცა 82.4% არ ელოდება ამ მაჩვენებლის ცვლილებას, ხოლო 5.3% კლებას ვარაუდობს.
- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გამოკითხულთა დიდი ნაწილი მშენებლობის (85.7%), მომსახურების (85%), მრეწველობის (83.3%) და ვაჭრობის (79.2%) სექტორებში არ მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას.
- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გამოკითხული კომპანიების 21.1% მოელის გაყიდვების ფასების ზრდას, მაშინ როცა 64.9% არ ელოდება ამ მაჩვენებლის ცვლილებას, ხოლო 14%-ის მოლოდინია რომ ფასები დაიკლებს.
- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გამოკითხულთა დიდი ნაწილი მომსახურების (85%), მრეწველობის (66.7%), მშენებლობის (57.1%) და ვაჭრობის (50%) სექტორებში არ მოელის გაყიდვების ფასების ცვლილებას.
- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, მშენებლობის სექტორში გამოკითხული კომპანიების დიდი ნაწილი (42.9%) მოელის გაყიდვების/მშენებლობების რაოდენობის ზრდას.
- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიების 66.7% მოელის ადგილობრივი წარმოების შემცირებას.
- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, მომსახურების სექტორში გამოკითხული კომპანიების 55% მოელის გაყიდვების ზრდას, ხოლო ვაჭრობის სექტორში მხოლოდ 13% მოელის შეკვეთების ზრდას.

მდგომარეობა 2020 წლის მეორე კვარტალში

- BAG-ის გამოკითხული წევრების 7% აცხადებს, რომ მათ მიერ დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, გაიზარდა, მაშინ როცა 68.4%-ისთვის ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა, 24.6%-ისთვის კი შემცირდა.
- მომსახურების სექტორში გამოკითხული კომპანიების 35% აცხადებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, შემცირდა. აღნიშნული მაჩვენებელი ვაჭრობის სექტორში 16.7%, მრეწველობის - 16.7%, ხოლო მშენებლობის სექტორში 28.6% არის.
- გამოკითხულთა 22.8% აცხადებს, რომ გაყიდვების ფასები 2020 წლის II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, გაიზარდა, მაშინ როცა 45.6%-ისთვის აღნიშნული მაჩვენებელი არ შეცვლილა, ხოლო 31.6%-ისთვის შემცირდა.
- მომსახურების სექტორში გამოკითხული კომპანიების 80% აცხადებს, რომ კომპანიის ბრუნვა 2020 წლის II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, შემცირდა.



გრაფიკი 5: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში

* - წინასწარი შეფასება



გრაფიკი 6: მოთხოვნა ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში



გრაფიკი 7: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში

* - წინასწარი შეფასება

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესწავლისას, 2020 წლის III კვარტალში გამოკითხული BAG-ის წევრების 70.2%-მა განაცხადა, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები, მაშინ როცა დანარჩენი 29.8%ს მიიჩნევს, რომ მათთვის მსგავსი ფაქტორები არ არსებობს.



გრაფიკი 8: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2020 წლის III კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მეტად ხელის შემშლელად შემდეგი ოთხი ფაქტორი დასახელდა: მათ პროდუქციასა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის სიმცირე, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, სპეციალისტების ნაკლებობა და შეზღუდული ფინანსური რესურსები. აღსანიშნავია, რომ პრობლემათა შორის პირველ ადგილზე მოთხოვნის სიმცირეა დასახელებული, რაც გამოკითხულთა 68%-ს აწუხებს, ხოლო მეორე ადგილს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები იკავებს 48%-ით.

შედარებისთვის, მოთხოვნის სიმცირე გამოკითხულთა მხოლოდ 16%-მა დაასახელა საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორად 2019 წლის ბოლოს ჩატარებულ კვლევაში, ხოლო 2020 წლის მარტის, ანუ პანდემიის დაწყების შემდეგ, ეს ფაქტორი უმთავრეს პრობლემად იქცა.



გრაფიკი 9: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული BAG-ის წევრებისთვის 2020 წლის III კვარტალში

2020 წლის III კვარტალში, გამოკითხული BAG-ის წევრთაგან უმეტესობამ (რომლებმაც სამართ-ლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები დაასახელეს მათი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელად) მარეგულირებელი გარემო დაასახელეს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რის გამოც სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ხელს უშლის მათ ბიზნესსაქმიანობას. თუმცა, არანაკლებ საყურადღებოა სასამართლო სისტემა, რომელიც, ასევე, მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორად დასახელდა.

დაფინანსება



გრაფიკი 10: დაფინანსების მოძიება



გრაფიკი 11: ფინანსებზე წვდომა[2]



გრაფიკი 12: დაფინანსების წყაროები

[2] კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება

2020 წლის III კვარტალში იმ კომპანიების 79%-მა, რომლებმაც ბოლო პერიოდში სცადეს ფინანსების მოძიება, განაცხადეს, რომ მათთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა პრობლემას არ წარმოადგენს, მაშინ როცა 21% ფინანსებზე ხელმისაწვდომობას პრობლემად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის IV კვარტალი – 2020 წლის III კვარტლის პერიოდში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კომპანიებისა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათთვის ფინანსების მოძიება პრობლემას წარმოადგენდა 2020 წლის I კვარტალში დაფიქსირდა (47%).

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის IV კვარტლიდან მოყოლებული 2020 წლის III კვარტლის ჩათვლით, BAG-ის წევრი კომპანიების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ბოლო პერიოდში ფინანსების მოძიებას ეცადნენ კვარტლიდან კვარტლამდე იზრდება (გრაფიკი 10), ამავდროულად იზრდება იმ კომპანიების პროცენტული მაჩვენებელიც, რომელთაც ფინასების მოძიებისას პრობლემა არ ჰქონიათ.

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ



გრაფიკი 13: ლარის გაცვლითი კურსის მოლოდინი აშშ დოლართან მიმართებაში

რაც შეეხება ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან გაცვლით კურსთან დაკავშირებულ მოლოდინს, ის სრულ თანხვედრაშია იმ დინამიკასთან, რაც თავად გაცვლითი კურსს აქვს. კერძოდ, 2020 წლის III კვარტალში, 2020 წლის II კვარტალთან შედარებით, გამოკითხული კომპანიების წილი, რომელთაც ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინი ჰქონდათ, გაიზარდა 41%-დან 67%-მდე. შესაბამისად, იმ კომპანიების პროცენტული წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ლარის გაცვლითი კურსი, დოლართან მიმართებაში, არ შეიცვლება შემცირდა 52%-დან 28%-მდე.

სასამართლო სისტემა

BAG ინდექსის კვლევის ფარგლებში, ბიზნესის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებს შორის მუდმივად სახელდება სამართლებრივი და ადმინისტრაციული ფაქტორები, მათ შორის, სასამართლო სისტემა. მიმდინარე კითხვარში კომპანიის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია სასამართლო სისტემის ეფექტიანობის დონისა და მისი გაუმჯობესების გზების შესახებ.



გრაფიკი 14: საქართველოს სასამართლო სისტემის ეფექტიანობის შეფასება ყველა რესპონდენტის მიერ[3]

[3] დამრგვალების გამო გრაფიკებზე მონაცემები ყოველთვის 100%-ზე არ ჯამდება

BAG-ის გამოკითხულ წევრთა უმრავლესობა სასამართლო სისტემის გაუმჯობესების საჭიროებას ვადების შემჭიდროებასა (76%) და კომპეტენციის ამაღლებაში (57%) ხედავს. რესპონდენტთა დიდი ნაწილი ასევე ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემა გაუმჯობესდება პროცედურების გამარტივებისა და მიუკერძოებლობის ხარისხის ზრდის შედეგად.



გრაფიკი 15: საქართველოს სასამართლო სისტემის გაუმჯობესების გზები

კითხვაზე, თუ როგორია საქართველოს სასამართლოს მიმართ ბიზნესის ნდობა, მხოლოდ 18%-მა დააფიქსირა სასამართლოს მიმართ ნდობის მაღალი მაჩვენებელი. მაშინ როცა, გამოკითხულთა უმეტესობამ (41%) სასამართლოს მიმართ ნდობის დაბალი მაჩვენებელი დააფიქსირა. ამასთან, სამწუხაროა, რომ გამოკითხულთა 9% უნდობლობას უცხადებს სასამართლო ხელისუფლებას, რაც იმეორებს პირველი კითხვის შედეგს, სადაც დაახლოებით ამდენივე რესპონდენტი სასამართლოს საქმიანობას ძალიან არაეფექტიანს უწოდებს.



გრაფიკი 16: საქართველოს სასამართლოს მიმართ ნდობა

ცალკე განხილვას იმსახურებს იმ რესპონდენტების მოსაზრებები, რომელთაც უშუალოდ მოუწიათ ურთიერთობა სასამართლო ხელისუფლებასთან, კერძოდ, BAG-ის გამოკითხულ წევრთა 68%-ს ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰქონდა შეხება სასამართლოსთან. ცხადია, როდესაც რესპონდენტები სასამართლო სისტემას ბიზნესის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ, საინტერესოა, თუ რას ემყარება აღნიშნული შეფასება: პირად გამოცდილებას თუ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს.

შესაბამისად, ცალკე გაანალიზდა შეფასებები ამ ჯგუფისთვის და აღმოჩნდა, რომ სასამართ-ლოს ხელისუფლების ნეგატიური შეფასებები უმეტესად ამ რესპონდენტების მხრიდან მომ-დინარეობს. კერძოდ, სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე კომპანიების წარმომადგენელთა 43.2% მიიჩნევს, რომ ხელისუფლების აღნიშნული შტო არაეფექტიანია ანდა ძალიან არაეფექტიანი.



გრაფიკი 17: საქართველოს სასამართლო სისტემის ეფექტიანობის შეფასება პირადი გამოცდილების საფუძველზე

რაც შეეხება სისტემის მიმართ ნდობის მაჩვენებელს, აქაც შედეგები განსხვავდება იმის მიხედვით, ჰქონია თუ არა რესპონდენტს სასამართლოსთან შეხება ბოლო 5 წლის განმავლობაში. კერძოდ, ბოლო წლებში სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტების 55%-ს (დაბალი ნდობა – 42%, არ ვენდობი 13%) სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. ამასთან, 56% იმ რესპონდენტებისა, ვისაც არ ჰქონიათ სასამართლოსთან ურთიერთობა, აცხადებს რომ ხელისუფლების ამ შტოს მიმართ არანაირი პოზიცია არ აქვს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო შედეგებში უარყოფითი პასუხები ძირითადად ეფუძნება იმ რესპონდენტების პირად გამოცდილებას, რომელთაც ჰქონიათ სასამართლოსთან კონტაქტი ბოლო 5 წლის განმავლობაში.

ასევე საინტერესოა, რომ სისტემის გაუმჯობესების გზების შესახებ მოსაზრებები თითქმის იდენ-ტურია, მიუხედავად იმისა, ჰქონიათ თუ არა რესპონდენტებს სასამართლოსთან ურთიერთობა ბოლო 5 წლის განმავლობაში.



გრაფიკი 18: საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობის მისაღებად კომპანიები აფასებენ მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილებას.[4]

2020 წლის III კვარტალში, BAG-ის გამოკითხულმა წევრებმა დასაქმების ცვლილების მოლოდინი დადებითად შეაფასეს. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 6.2 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით გაუმჯობესებულია. 2020 წლის II კვარტალში BAG-ის წევრ კომპანიებს უფრო ნეგატიური მოლოდინი ჰქონდათ დასაქმებასთან მიმართებაში და BAG-ის დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა -2.8-ს შეადგენდა.

სექტორების მიხედვით, 2020 წლის III კვარტალში, BAG-ის გამოკითხული წევრების მიერ, დასაქმებასთან მიმართებაში ნეგატიური მოლოდინი მხოლოდ მომსახურების სექტორში დაფიქსირდა.

ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით (საბალანსო მნიშვნელობები)				
სექტორი	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020
ვაჭრობა	33.3	-45.0	5.6	12.5
მრეწველობა	11.1	-25.0	0	16.7
მშენებლობა	50.0	-80.0	-28.6	14.3
მომსახურება	14.6	-41.7	0	-5.0
BAG დასაქმების ბარომეტრი	26.1	-46.7	-2.8	6.2

BAG დასაქმების ბარომეტრი მნიშვნელოვნად გაუარესდა 2020 წლის I კვარტალში, 2019 წლის IV კვარტალთან შედარებით, და II კვარტალშიც ნეგატიური შენარჩუნდა. თუმცა 2020 წლის III კვარტალში, დასაქმების ბარომეტრი მცირედ დადებითია, რაც კომპანიების ფრთხილ ოპტიმიზმზე მიუთითებს.

[4] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი", „სტაბილური" ან „კლებადი". ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „მზარდი"-სა და „კლებადი"-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100–დან +100–მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

გრაფიკი 19: BAG დასაქმების ბარომეტრი

შრომითი რესურსების საჭიროების კვლევა

BAG ინდექსის მესამე კვარტლის კვლევის ფარგლებში, ასოციაციის წევრი კომპანიები, ასევე გამოიკითხა შრომითი რესურსების საჭიროებებთან დაკავშირებით. გამოკითხვის უმთავრეს შედეგს წარმოადგენს ფაქტი, რომ გამოკითხულ კომპანიათა 75%-ზე მეტი სირთულეებს აწყდება საჭირო კადრების მოძიებისას. ამასთან, აღნიშნულ პრობლემას ყველაზე მწვავედ მომსახურებისა და მრეწველობის სექტორში განიცდიან, სადაც კომპანიათა 80%-ზე მეტი სირთულეებს აწყდება პერსონალის მოძიებისას. სხვა სექტორებთან შედარებით კადრების მოძიების სირთულე ყველაზე ნაკლებად მშენებლობის სექტორში იგრძნობა, თუმცა აქაც გამოკითხულთა 43% აღნიშნულ საკითხს პრობლემურად ასახელებს.

რაც შეეხება კონკრეტულ პროფესიებს, გამოკითხვის თანახმად, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ტექნიკური პერსონალის, ტექნოლოგების, დეველოპერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების, ინჟინრების, ოპერატორებისა და აგრონომების მოძიება.



გრაფიკი 20: გექმნებათ თუ არა სირთულეები საჭირო კადრების მოძიებისას?



გრაფიკი 21: გამოკითხულ კომპანიათა წილი, რომელთაც ექმნებათ სირთულეები საჭირო კადრების მოძიებისას

სასურველი კვალიფიკაციის პერსონალის მისაღებად, გამოკითხულ კომპანიათა 80% ახალ კადრების სამუშაო ადგილზე გადამზადებას არჩევს. გამოკითხულთა 38% ასევე თანაშრომლობს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან (მაგ.: „დუალური სწავლების" პროგრამის ფარგლებში). ხოლო გამოკითხულთა 18%-მა პრობლემის მოსაგვარებლად საკუთარი პროფესიული სასწავლებელიც კი დააფუძნეს.



გრაფიკი 22: რა გზას მიმართავენ კომპანიები სასურველი კვალიფიკაციის კადრების მისაღებად

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

პიემსი კვლევითი ცენტრი, research@pmcginternsational.com
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, info@bag.ge